

საქართველოსა და ევროკავშირის სადაზღვევო ბაზრების შედარებითი ანალიზი

ჯაბა ჩხარტიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახ-
ელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში დახასიათებულია ევროპის საერთო ბაზრის განვითარების პრინციპები, წინააღმდეგობები და კანონზომიერებები. გადმოცემულია საერთო ბაზრის უპირატესობები და საქართველოს ინტეგრაციის მიმართულებები. გამოვლენილია სადაზღვევო ბაზრების განსხვავებული პრიორიტეტები ქვეყნებისა და დაზღვევის სახეობების მიხედვით და ტენდენციები, რომლებიც ჩამოყალიბდა ქვეყნების ბაზრების განვითარების პროცესში. აღნიშნულია, რომ საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ჰორიზონტალური ინტეგრაცია და საერთაშორისო კონცენტრაცია, რომლის შედეგად იზრდება კომპანიების ცნობადობა, იმიჯი და ფინანსური სტაბილურობა.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ბაზარი, საერთო ბაზარი, ევროკავშირი

ქვეყნების ინტერესი ეკონომიკის რყევების შედეგად გაზრდილი რისკებისა და განუსაზღვრელობისადმი სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. მათი პრევენცია და განეიტრალება სადაზღვევო ბაზრების განვითარებით არის შესაძლებელი.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულებით (2014 წელი), საქართველოს ინტერესები კიდევ უფრო მეტად დაუკავშირდა ევროკავშირის ინტერესებს. ევროკავშირის ერთიანი ბაზარი გახდა ხელმისაწვდომი და შეიქმნა პირობები საქართველოს სადაზღვევო ბაზრის გაფართოებისათვის.

ევროპის ერთიანი სადაზღვევო ბაზრის ფორმირება ემსახუ-

რება ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციისა და ურთიერთმართვის პროცესების გაღრმავებას და გაფართოებას. იგი მიმართულია კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის პროცესის გაფართოებისაკენ და მისი ძირითადი ფუნდამენტური პრინციპები და მიზნები ასახული რომის ხელშეკრულებაში (25 მარტი, 1957 წ.). იგი გამოხატავს ადგილობრივი, ეროვნული და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების საერთო პრინციპების ურთიერთშეთანხმების აუცილებლობას და იძლევა საშუალებას ქვეყნების საერთო სადაზღვევო სივრცის პირობებში ეროვნული რეგულირება განსხვავებოდეს ერთმანეთისაგან ტრადიციული და ეროვნული გარემოებების შესაბამისად. ევროკავშირში სპეციალური დირექტივა ქმნის საერთო სადაზღვევო ბაზარს და საშუალებას აძლევს სადაზღვევო კომპანიებს შესთავაზონ დაზღვევა ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში.¹

ერთიანი სადაზღვევო ბაზრის პირობებში მნიშვნელოვანია კაპიტალის თავისუფალი გადადენის, სუბსიდირების და პროპორციულობის პრინციპები,² რომლის მიხედვითაც, ზოგიერთი სადაზღვევო პრობლემების გადაჭრა ერთობლივი ძალისხმევით გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ყველა ქვეყანა დამოუკიდებლად ახდენდეს პრობლემებზე რეაგირებას. თუმცა ქვეყნებს შორის დაცული უნდა იყოს პროპორციულობა და სიმეტრია.

ევროპის საერთო ბაზრის პირობებში ადვილი გახდა ქვეყნების სადაზღვევო კომპანიების ერთმანეთთან შერწყმა და ბაზრებზე ურთიერთშეღწევა. ჩამოყალიბდა ერთიანი ლიცენზირების სისტემა და გადახდისუნარიანობასა და კაპიტალზე ზედამხედველობა. 1994 წელს შეიქმნა ევროპის ერთიანი სადაზღვევო ბაზრის (EERSU) საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა კომპანიებს დაბრკოლების გარეშე აწარმოონ საქმიანობა ევროკავშირის ქვეყნებში. ამასთან,

1 C. J. Campbell, L. Goldberg, A. Rai. (2003). The Impact of the European Union Insurance Directives on Insurance Company Stocks. The Journal of Risk and Insurance. გვ 3-4. http://lib.dr.iastate.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1004&context=finance_pubs

2 The Treaty of Rom. 15 March 1957. Articles 33, 54, 61,

მნიშვნელოვანი დომინანტური პრინციპი გახდა მონაწილე ქვეყნების კონკრეტული ეკონომიკური სარგებლის მიღება. ეს უკანასკნელი არის კომპანიების მოზიდვის პირობა. ქვეყნების კომპანიები განსხვავებულია კაპიტალის სიძლიერის, მასშტაბის და რესურსების თვალსაზრისით. მათ შორის კონკურენცია მხოლოდ თანასწორობის და სამართლიანობის საფუძველზე ყალიბდება.

ქვეყნებს შორის კანონმდებლობის უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია გულისხმობს სადაზღვევო საქმიანობის ერთიან კლასიფიკაციას მათი ლიცენზირების და ზედამხედველობის განხორციელების მიზნით. იგი მოიცავს საერთო მოთხოვნებს სადაზღვევო კაპიტალის, ბიზნეს-გეგმების, მართვის პერსონალის, რეზერვების, ტარიფების და სხვ. შესახებ. მისი მიზანია მომსახურების ხარისხის ზრდა და კომპანიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ეს პროცესი მუდმივად სრულყოფადია.

როგორც სტატისტიკა მეტყველებს, ამჟამად უპირატესობა ეძლევა კაპიტალის თავისუფალ გადადენას, ვიდრე კომპანიების შეერთებას, შერწყმას ან შვილობილი ფილიალების დაფუძნებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 90-იან წლებში.¹ ურთიერთობა გადადის პარტნიორულ კავშირებში. ამას ხელი შეუწყო ასევე ერთიანი ვალუტის, ევროს შემოღებამ და შემგდომში მისი ზონის გაფართოებამ.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ხდება კონკურენციის გამწვავებაც და მცირე და საშუალო ზომის სადაზღვევო კომპანიების გაკოტრებაც იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან დაკავშირებულნი და არ აქვთ პარტნიორული ურთიერთობები მსხვილ საერთაშორისო სადაზღვევო ორგანიზაციებთან.

ევროპის ბაზარს უკავია მსოფლიო ბაზრის 35 პროცენტი.² იგი ერთ-ერთი უდიდესი ბაზარია მსოფლიოში, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას რისკების დაზღვევითა და


1 European Insurance in Figures. CEA statistics #44. 2011. გვ.31. <http://www.argusdelassurance.com/mediatheque/6/4/7/000014746.pdf>

2 იქვე. გვ.7.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფით. 2014 წელს მისი შეღწევადობამ, პრემიების წილმა მშპ-ში¹ შეადგინა 7.4 პროცენტი. არსებობს საკმაოდ დიდი სხვაობა ევროკავშირის ქვეყნებს შორის. მაგალითად, ფინეთში ეს მაჩვენებელი აღწევს 11. პროცენტს, ხოლო რუმინეთში კი - 1.2 პროცენტს.² თუ ევროპის საშუალო მაჩვენებელს შევადარებთ საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს, მაშინ აღმოჩნდება, რომ საქართველოში იგი რეალური მშპ-ს 0.01 პროცენტს შეადგენს.³ ეს განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად მოცულია საქართველოში რისკები სადაზღვევო საქმიანობით.

შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი გრაფიკები გვიჩვენებენ ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს სადაზღვევო ბაზრების მდგომარეობას.⁴

გრაფიკი 1




1 Insurance penetration –gross written premiums as a percentage of GDP.

2 European Insurance –key Facts. August 2015. გვ. 10.

3 აქ და ქვემოთ ყველგან გრაფიკში მოცემულია საქართველოს 2015 წლის მაჩვენებლები.


4 მონაცემები აღებულია: საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სააგენტო, European Insurance –key Facts. August 2015.



ქვეყნების შედარებითი ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სადაზღვევო ბაზრები განსხვავებულად არის განვითარებული და პრიორიტეტი სხვადასხვა სადაზღვევო სახეობას ენიჭება. მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემიების მიხედვით ლიდერობს ფინეთი, შვეიცარია, დანია. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ესპანეთი, ავსტრია, გერმანია, ჰოლანდია არიან საშუალო ევროპული მაჩვენებლების უფრო დაბალ დონეზე, ხოლო არასიცოცხლის დაზღვევაში ლიდერობს ჰოლანდია და შვეიცარია. საშუალოზე უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ ფინეთს, შვედეთს, ესპანეთს (იხ. გრაფიკი 3).


სამედიცინო დაზღვევას განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში. ამ ქვეყნებში მოზიდული პრემიების მაღალი დონე განაპირობებს ევროპის მაღალ საშუალო მაჩვენებელს. შესაბამისად მოზიდული პრემიების მიხედვით საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი აღმოაჩნდათ ავსტრიისა და შვედეთის გარდა ყველა დანარჩენ ქვეყანას. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების და საყოველთაო სამედიცინო დაზღვე-

გრაფიკი 3



ვის დანერგვის შედეგად საქართველომ წინ გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა უნგრეთი, ესტონეთი სლოვაკია, საბერძნეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი რუმინეთი.

გრაფიკი 4




ქონების დაზღვევა განვითარებულია ნორვეგიაში, დანიაში, შვეიცარიაში. საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი აქვს იტალიას.

სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა განსაკუთრებით განვითარებულია შვეიცარიაში, დანიაში, ნორვეგიაში და დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, გარდა ესპანეთისა.

ამ სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, სადაზღვეო ბიზნესი განვითარებულია დასავლეთ ევროპაში, ნაკლებად განვითარებულია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, ხოლო, საქართველოს კი სამედიცინო დაზღვევის სფეროში აქვს ძირითადად წარმატება და იგი შეადგენს სადაზღვეო ბაზრის მთავარ სეგმენტს.

გრაფიკი 5-6




ანაზღაურებული ზარალის სტრუქტურის შედარებითი ანალიზი მეტყველებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადად ანაზღაურდება სიცოცხლის დაზღვევა. იგი შეადგენს ანაზღაურებული ზარალის 67 პროცენტს, ხოლო ჯანდაცვის ხარჯები შეადგენს 10 პროცენტს. საქართველოში კი, რამდენადაც ჯანდაცვა არის ძირითადი სეგმენტი, ამიტომ ამ სფეროში ანაზღაურებული ზარალი არის მნიშვნელოვანი და იგი 60 პროცენტს შეადგენს.

ევროკავშირის ქვეყნებში სადაზღვეო სექტორი არის ერთ-ერთი უმსხვილესი, რამდენადაც ევროკავშირის მშპ-ს 63

პროცენტი შეადგენს იმ დაბანდებულ ინვესტიციებს, რომლებიც ამ სფეროს მიერ იმართება. ზოგიერთ ქვეყანაში კი იგი აღემატება ამ ქვეყნის მშპ-ს მაჩვენებელს. ამ მხრივ ინგლისში ინვესტიციების წილი შეადგენს მშპ-ს 111.5 პროცენტს, გერმანიაში - 109.2 პროცენტს, საფრანგეთში -100.4 პროცენტს. საერთოდ კი, ლიხტენშტეინი და ლუქსემბურგი არიან ამ მხრივ ლიდერი ქვეყნები.

თუ ერთმანეთს შევადარებთ საქართველოს სააზღვევო კომპანიების აქტივებს და ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი ინვესტიციების ზრდის დინამიკებს,¹ აღმოჩნდება, რომ 2008 წლის შემდეგ ევროკავშირში სადაზღვევო კომპანიების ინვესტიციები ნელა, მაგრამ დინამიკურად იზრდებოდა, ხოლო საქართველოში კი აქტივები რყევით გამოირჩეოდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და სახელმწიფოს მიერ გატარებული ცვლილებები სენსიტიურად აისახება კომპანიების საქმიანობაზე.

გრაფიკი 7



1 ფინანსური ინფორმაციების შეზღუდულობისა და კომპანიების ფინანსურ ბალანსებში არსებული განსხვავებების გამო ასეთი სახის შედარებები პირობითია, თუმცა იგი არ ქმნის დაბრკოლებას ზოგადი სახის დასკვნების გამოტანაში.

ეროკავშირის ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პორტფელის ძირითადი ნაწილია ობლიგაციებსა და სახაზინო ვალდებულებებში (52.4 პროცენტი), საინვესტიციო ფონდებში (13%), სხვადასხვა საინვესტიციო და შვილობილ კომპანიებში განთავსებული კაპიტალი, ასევე სესხები (13.6%) და აქციები (7.8%). დერივატივებსა და საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებულ დეპოზიტებს უკავიათ ძალიან მცირე ხვედრითი წილი. საქართველოში კი ძირითადი შემოსავლები ინვესტიციებიდან მიიღება საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტებიდან (67%) და გაცემული სესხებიდან (34%).

ამდენად, ეროკავშირის ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიები ორიენტირებულია საფონდო ბირჟებზე, მაშინ როდესაც საქართველოში იგი ძირითადად დაკავშირებულია საბანკო სფეროსთან.

ეროკავშირის სადაზღვევო ბაზარზე, როგორც ამას სტატისტიკა და მეორადი ლიტერატურის ანალიზი მოწმობს, რამდენიმე კანონზომიერება ჩამოყალიბდა:

1. ევროპის სადაზღვევო ბაზრისათვის დამახასიათებელია ნელი ზრდა და დაბალი განაკვეთები, რომლის შემდგომი განვითარებისათვის წარმატებული კომპანიები ცდილობენ მოახდინონ პროდუქტების და მომსახურების პერსონალიზაცია/ინდივიდუალიზაცია.¹

2. ევროპის სადაზღვევო ბაზარზე ექსტენსიური განვითარების შესაძლებლობები ამოწურულია და შემდგომი განვითარებისათვის ორიენტაცია აღებულია დანახარჯების მინიმიზაციაზე.

3. კონკურენციის გაზრდამ გამოიწვია კაპიტალის გამსხვილება, საბანკო და სადაზღვევო კომპანიების კორპორაციულ-ფინანსურ ჯგუფებში გაერთიანება.

4. სადაზღვევო ბაზარზე სოციალური დაზღვევის გაფა-

1 2015 European insurance outlook: Navigating market volatility, creating innovative products and using data to get connected. EY- P.2 [www.ey.com/.../\\$FILE/EY-2015-european-insurance-outlook</..](http://www.ey.com/.../$FILE/EY-2015-european-insurance-outlook</..)

როთების ტენდენცია ჩამოყალიბდა. იზრდება საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის მასშტაბები, ამ მიზნით კი ყალიბდება სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს სოციალური დაზღვევის განვითარება.

5. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გაიზარდა დასავლეთის ქვეყნების კომპანიების მონაწილეობა. მართალია ამის შედეგად ბაზარი გაფართოვდა და სტაბილური გახდა, მაგრამ შეიზღუდა ადგილობრივი კომპანიების როლი და გაძლიერდა კაპიტალის გადადენის პროცესი.

6. საფონდო ბირჟების ფართოდ გამოყენება ქმნის დამატებით მომსახურების შესაძლებლობებს განსაკუთრებით სიცოცხლის დაზღვევის უზრუნველსაყოფად, რომელიც არის ინვესტირების პორტფელის ერთ-ერთი უდიდესი კომპონენტი.

7. ევროპის ბაზარზე სულ უფრო იზრდება მომხმარებლებისადმი წვდომა ელექტრონულ-ციფრული ტექნოლოგიებით, განსაკუთრებით მობილური ხელსაწყოების გამოყენებით.

8. პერსპექტივაში სადაზღვევო სფერო, როგორც მომხმარებელთა დაცვის საშუალება, მოითხოვს მომხმარებელთა გეგმების ინდივიდუალიზაციას და სტრატეგიის დაგეგმვას.¹ ყოველივე ეს ზრდის კონტროლინგის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას.

9. ტარდება საზედამხედველო რეფორმები. ევროპის ქვეყნებისადმი მოთხოვნები განსხვავებულია. მაგალითად, ბელგიასა და ინგლისისადმი არსებობს აუდიტორების ჩართვის მოთხოვნა ფინანსური საქმიანობის შეფასებისას, თუმცა ჰოლანდიისათვის ეს პრობლემა არ არის. ყველა ქვეყნის სადაზღვევო კომპანიისადმი არსებობს ანგარიშების ხარისხის და ლიაობის გაზრდის მოთხოვნა.

სხვა ტენდენციები, რომლებიც არსებობს სადაზღვევო ბაზარზე, არის შემდეგი:

10. კონკურენციის ინტენსიურობის ზრდასთან ერთად იზრდება ზენოლა ფასებზე, ფართოვდება საბაზრო სეგმენტები

1 Banking and Finance, European Commission, <http://ec.europa.eu/finance/>—

და ინერგება ახალი სტრატეგიები. ეს ქმედებები ემყარება ინოვაციურ მიდგომებს, ნაცვლად ტრადიციული/კონსერვატორულისა. ამ მიზნით ხდება ახალი სადაზღვეო პროდუქტების შეთავაზება და გასაღების ბაზრების გაფართოება მომხმარებელთა ინდივიდუალიზაციის მიმართულებით.

11. კომპანიებს უხდებათ უფრო მეტად კარგად ინფორმირებულ მომხმარებლებთან ურთიერთობა და ბაზრების ასიმეტრიასთან გამკლავება. მომხმარებლები ადვილად გადადიან ერთი სადაზღვეო კომპანიიდან მეორეში. ამ წინააღმდეგობებთან გამკლავება ხდება ბაზრების კონცენტრაციით.

12. სადაზღვეო ამხანაგობების და კორპორაციული საზოგადოებების განვითარება გახდა ბაზრების განვითარების ერთ-ერთი მიმართულება. იქმნება თანაზიარი და ზარალის ურთიერთანაზღაურების ასოციაციები, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ დაზღვევა/გადაზღვევას და ერთობლივი სინერგიით ახდენენ ბაზრების კონცენტრაციას.

ამდენად, სადაზღვეო ბაზრების ლიბერალიზაციის შედეგად სადაზღვეო კომპანიები ცდილობენ განახორციელონ სტრატეგიები, რომლებიც გაზრდის ბაზრის მოცულობას. ევროპულ ქვეყნებში კონკურენცია გახდა ინტენსიური და პარალელურად განვითარდა საბაზრო კონცენტრაციაც.

საბაზრო კონცენტრაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია საქართველოსთვისაც. საქართველოში დაზღვევა ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ბარიერი არსებობს, რაზეც პირველ რიგში მზარდი სადაზღვეო ბაზარი მიუთითებს. ყოველწლიურად მატულობს როგორც დაზღვეულების რიცხვი, ასევე სადაზღვეო პროდუქტების რიცხვიც, რაც მისი გამსხვილებით შეძლება აიხსნას. მიმდინარეობს ფირმების ჰორიზონტალური ინტეგრაციის, გამსხვილება/შერწყმის პროცესი. 2015 წლის 15 ივლისის მდგომარეობით საქართველოსი ფუნქციონირებს 14 სადაზღვეო კომპანია, მაშინ როდესაც 1997 წელს 25 კომპანია ფუნქციონირებდა.

ასეთ ჰორიზონტალურ ინტეგრაციას აქვს თავისი უპირა-

ტესობები: გამსხვილებული კომპანიები ბაზრის დიდ წილთან ერთად ბაზრის მართვას ანხორციელებენ. მათი მდგრადობა ხდება მომხმარებლის მათდამი და საერთოდ ამ ბაზრისადმი ნდობის მაჩვენებელი. მათი უპირატესობაა ადვილი კომუნიკაციები, მოტივაცია და მარკეტინგი. კომპანიებს ეძლევათ საშუალება მიზნები განსაზღვრონ ხანგძლივი პერიოდით. ისინი იყენებენ მომსახურების შეთავაზების უპირატესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი უპირატესად ირჩევს ძლიერ კომპანიას, რაც განისაზღვრება მისი ფინანსური სიმყარით. მათი მომსახურების მრავალფეროვნება ნელა იზრდება, რამდენადაც ისინი დამკვიდრდნენ ბაზარზე, მათი მაღალი პასუხისმგებლობის შენარჩუნება მომხმარებლისადმი ხდება მათი ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელი და მომხმარებლისათვის კი იმის იმედი, რომ რისკების გადანაწილებას ეს კომპანიები რაციონალურად ახდენენ.

გარდა ამისა ქართულ ბაზარზე ხდებოდა ახალი კომპანიების შემოჭრაც. ბაზრებზე ახლად შემოჭრილი კომპანიების მნიშვნელოვანი კონკურენტული თვისებაა მომსახურების ფართო ასორტიმენტის და დაბალი ტარიფების შეთავაზება მომხმარებლისადმი. სხვა კომპანიები კი მიზნობრივ ბაზრებზე ამყარებენ იმედებს. მათ შორის კონკურენცია საკმაოდ ინტენსიურია. თუმცა მათი მახასიათებელია ის, რომ არ გააჩნიათ დიდი მოქნილობა. მათი შერჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ რომელია ცნობადი და მსხვილი, შესაბამისად ფინანსურად მყარი. ბაზარზე გაერთიანებების ემპირიული შესწავლის შედეგად, ჩვენი აზრით გამოვლინდა, რომ გაერთიანებამდე კომპანიების ცნობადობა ამაღლდა მას შემდეგ რაც ისინი გაერთიანდნენ. ამასთან, საერთაშორისო გაერთიანებები ზრდის მოგებას და სტაბილურობას და ხელს უწყობს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

COMPARATIVE ANALYSIS OF GEORGIAN AND EU INSURANCE MARKETS

Jaba Chkhartishvili, Phd Student of
The St. Andrew the First Called Georgian
University of Patriarchate of Georgia

RESUME

The article describes the European common market principles, contradictions and trends. It reviews the insurance market characteristics and the benefits of integration; also reveals the different priorities of the insurance markets in the European countries according to the types of insurance; describes trends, which are formed in the process of developing common market. It is noted that Georgia is especially important in horizontal integration and concentration with international markets, which support an increase of awareness, image and financial stability of Georgian companies.

Key words: Insurance market, Common market, EU.